საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის პირობა
დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

მუხლი 1. კონკურსის პირობა

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) დირექტორად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი აქვს განცხადება დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში.

მუხლი 2. ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ობსერვატორიის დირექტორად არჩევისთვის დადგენილი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) კანდიდატი **აკმაყოფილებს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს,** კერძოდ:

ა.ა) ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;

ა.ბ) აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ა.გ) გააჩნია განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ: 2015 წლიდან დირექტორის კონკურსში განცხადების წარდგენამდე პერიოდის განმავლობაში მისი ავტორობით/თანაავტორობით გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ 5 სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაცია მაღალი (არანაკლებ 2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ობსერვატორიის პროფილის (ასტრონომია, ასტროფიზიკა და კოსმოსური მეცნიერებები) შესაბამისად.

ბ) კანდიდატის **ასაკი არ აღემატება 65 წელს.**

მუხლი 3. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ობსერვატორიის დირექტორად არჩევისთვის კანდიდატმა, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, იცნობდეს:

ა) „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონს;

ბ) ობსერვატორიის წესდებას;

გ) საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს (I-II, IV, VI და VII თავები);

დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონს;

ე) ობსერვატორიის მიმდინარე სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებს;

ვ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს;

ზ) ობსერვატორიის შინაგანაწესს;

2. სასურველია კანდიდატს გააჩნდეს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.